

24 საათი

დიალოგი, რომელიც ხელს არავის უშლის

გერმანელი დოქტორი ოლივერ ვოლე, რომელიც ამჟამად “ბერგჰოფის მშვიდობის მხარდაჭერის” ფონდის კავკასიის პროგრამების კოორდინატორია, უკვე 12 წელიწადია, ქართველებსა და აფხაზებს შორის დიალოგის პროცესს უძღვება.

დათო გამისონია

24 საათი 07.11.11

გერმანელი დოქტორი ოლივერ ვოლე, რომელიც ამჟამად “ბერგჰოფის მშვიდობის მხარდაჭერის” ფონდის კავკასიის პროგრამების კოორდინატორია, უკვე 12 წელიწადია, ქართველებსა და აფხაზებს შორის დიალოგის პროცესს უძღვება.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ოლივერ ვოლემ ახალი პროექტის ინიცირება გადაწყვიტა. მან არჩევანი ახალგაზრდა ლიდერებზე გააკეთა, მალევე, პარტნიორ ორგანიზაციებთან (მათ შორისაა “კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი,” ICCN) ერთად, მათ შერჩევასა და გადამზადებას შეუდგა. “ვიფიქრეთ, რომ ამ ახალგაზრდების შეხვედრები სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო და მათ ამის შესაძლებლობა უნდა ჰქონოდათ. დიალოგის პროცესის ამოქმედებისთვის ახალგაზრდებს უცხოეთში ერთკვირიანი შეხვედრების წარმართვასა და პრობლემების შეჯამებაში ვეხმარებით. ისინი ეცნობიან კოსოვოსა და მოლდავეთში არსებულ ვითარებას. ახალგაზრდები ამ თემების შესახებ სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც ისაუბრებენ,” - განუცხადა ოლივერ ვოლემ “24 საათს”.

პირველი შეხვედრა ქართულ და აფხაზურ ჯგუფებს შორის ჯერ კიდევ 2008 წელს კოსოვოში გაიმართა. შეხვედრას 11 “ვორკშოფი” მოჰყვა. პროცესს დღემდე 130 მონაწილე ჰყავდა, მათგან 30 - ცხინვალის რეგიონს, 35 - აფხაზეთს, ხოლო 65 ახალგაზრდა დანარჩენ საქართველოს წარმოადგენდა.

“ბერგჰოფის” მიერ მომზადებული პროექტის ფარგლებში, რომელსაც დიდი ბრიტანეთის მთავრობა აფინანსებს, 17-23 ოქტომბერს მორიგი შეხვედრა მოლდავეთში შედგა. დიალოგში 6 აფხაზი და 6 ქართველი ახალგაზრდა მონაწილეობდა. პროექტის მიხედვით, პირველ დღეს ჯგუფებმა ერთმანეთს მათ გარშემო შექმნილი ვითარების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. შემდეგი რამდენიმე დღის განმავლობაში მონაწილეები მოლდავეთის პრობლემატიკას ერთად ეცნობოდნენ. ამ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების, მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციათა საქმიანობისა და კონფლიქტის საკითხების შესახებ საუბრისთვის ექსპერტებთან, ჟურნალისტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან კიშინიოვსა და ტირასპოლში არაერთი შეხვედრა გაიმართა. გარდა ამისა, მონაწილეები შეხვედრის მოლდავეთის რეინტეგრაციის ბიუროსა და დნესტრისპირეთის არადიარებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს. ამის შემდეგ ახალგაზრდებმა სხვადასხვა შეხვედრებზე წამოჭრილი თემების შესახებ იმსჯელეს. ოლივერ ვოლემ მოლ-

დავეთსა და საქართველოში შექმნილ ვითარებაზე თავისი მოსაზრება “24 საათს” გაუზიარა: “მოლდავეთსა და დნესტრისპირეთში ძლიერი რუსული ფაქტორი მოქმედებს. ეს შეიძლება იმას შევადაროთ, რაც თქვენთან ხდება. საბაზისო სტრუქტურა იმის მსგავსია, რაც თქვენს სამშობლოშია. თუმცა, რასაც ვაკვირდებით, განსხვავებული დინამიკაა. მოლდავეთი და დნესტრისპირეთი პოლიტიკურ დონეზე მოლაპარაკებებში ერთსა და იმავე რანგში მონაწილეობენ. საზღვარი პრაქტიკულად გახსნილია. აქ ინციდენტები არ ხდება.”

მონაწილეები მალევე მთავარს - ქართველებსა და აფხაზებს შორის დიალოგის საკითხს დაუბრუნდნენ. ორი დღის განმავლობაში ახალგაზრდები სხვადასხვა აქტუალური პრობლემების შესახებ ღიად მსჯელობდნენ. დოქტორი ოლივერ ვოლე აცხადებს, რომ “დიალოგში ზოგი ადამიანი პირველად, ზოგიც მეორედ მონაწილეობდა. ურთიერთობები ისე ვითარდება, რომ ამაზე 2 წლის წინათ ფიქრიც არ შეიძლებოდა. ღრმა ურთიერთობები ყალიბდება და ეს საინტერესოა. ისინი თანხმდებიან, რომ ძალის გამოყენება არ შეიძლება. ვხედავ, მონაწილეები როგორ ურთიერთობენ, როგორ საუბრობენ. მათ ბევრი საერთო აქვთ და შეუძლიათ, მომავალშიც ისაუბრონ, თუ როგორ შეიძლება დაახლოვდნენ, რათა ვითარების ტრანსფორმაციას მიაღწიონ. ისეთი სტრუქტურის უზრუნველყოფაა საჭირო, სადაც ხალხს მეტი თავისუფლება ექნება და ადამიანის უფლებები მაღალი ხარისხით იქნება დაცული.” ვოლეს მიაჩნია, რომ ამ პროცესს ბევრი მხარდამჭერი ეყოლება. მისი თქმით, ევროკავშირის საქართველოს მიმართ სრულყოფილად ჩამოყალიბებული სტრატეგია არ გააჩნია, თუმცა ევროკავშირი, ისევე როგორც სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები, ადამიანებს შორის კონტაქტს მხარს უჭერენ და მათი ურთიერთობების განვითარება სურთ. “ამიტომ საერთაშორისო საზოგადოება ამ ტიპის საქმიანობას - ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის დიალოგს მიესალმება,” - აღნიშნა ვოლემ. მანვე დასძინა, რომ ჯერჯერობით “ვორკშოფის” ადგილის შეცვლის საკითხი დღის წესრიგში არ დგას. ვოლეს აზრით, სრულიად ამკარაა, რომ თბილისში ან კონფლიქტური რეგიონების ტერიტორიაზე შეხვედრები ვერ შედგება.

ახალგაზრდა ფასილიტატორები

წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, “ბერგჰოფის” თანამშრომლებმა, ასევე მათმა ჰოლანდიელმა პარტნიორმა, პროცესის მართვა ქართველი და აფხაზი ახალგაზრდებისგან დაკომპლექტებულ 4-წევრიან გუნდს მიანდეს. ისინი ერთობლივად მუშაობდნენ, რათა აფხაზ და ქართველ მონაწილეებს დიალოგის წარმართვაში დახმარებოდნენ. “ჩვენ გვყავს განათლებული ფასილიტატორები, რომლებსაც ტრენინგები აქვთ გავლილი. ისინი ამ “ვორკშოფს” მოდერაციასა და ფასილიტაციას უწევდნენ. ეს ერთგვარი ექსპერიმენტია და არ ვიცოდით, თავს როგორ გაართმევდნენ. მაგრამ კმაყოფილები ვართ, რადგან გვყავს კარგი გუნდი, რომელის წევრებიც კოლეგიალურები და მეგობრულები არიან,” - აღნიშნავს ვოლე, - “ჩვენ, როგორც უცხოელებს და უცხოურ ორგანიზაციას, მხარდამჭერის როლი გვაქვს. ახალგაზრდებს ვაძლიერებთ. მათ ტრენინგებს მომავალშიც ჩავუტარებთ, ამავე ტიპის “ვორკშოფებში” ჩავრთავთ. ეს აფხაზი, ქართველი და ოსი ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანია. თუმცა, იმისთვის, რომ მათ ერთად მუშაობა შეძლონ, მომზადება და ტრენინგი სჭირდებათ. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, გუნდების ნებაა საჭირო. ჩვენ გვექნება თვითრეგულირებადი დიალოგი. ველით, რომ გუნდი უფრო ძლიერი გახდება. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და ვფიქრობ, პროცესი გაგრძელდება.”

მოლდავეთში გამართული შეხვედრით კმაყოფილია ვოლფრამ ცუნცერი, “ბერგჰოფის მშვიდობის მხარდაჭერის” ფონდიდან. “პროცესი წინ წავიდა და ახალ ხარისხს მიაღწია. ჩვენ გამოცდილება მივიღეთ. გუნდმა კარგად იმუშავა. დიდ პოტენციალს ვხედავთ, რომ ფასილიტაცია მომავალში გავაღრმავოთ,” - შენიშნავს ცუნცერი.

თბილისში დაბრუნების შემდეგ ქართველმა მონაწილეებმა “კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის” ოფისში პრესკონფერენცია გამართეს. დიმიტრი ნადირაძე, რომელიც ფასილიტატორის რანგში დიალოგს პირველად უძღვებოდა, მიიჩნევს, რომ პროცესი შედგა. “აფხაზი და ქართველი მონაწილეები, პირველ რიგში, საერთო ღირებულებებზე შეთანხმდნენ - ეს არის ნდობის შენება,” - განუცხადა “24 საათს” დიმიტრი ნადირაძემ. ფასილიტატორმა მიხეილ ჯახუამ კი ჯგუფში აფხაზ ახალგაზრდებთან ერთად მუშაობის პროცესი შეაფასა. “არანაირი დიფერენცია არ ყოფილა, ეთნიკური ნიშნით განსხვავებები არ შეიმჩნეოდა. კმაყოფილი ვარ, რომ დიალოგს აფხაზ ახალგაზრდებთან ერთად ვუძღვებოდით,” - აღნიშნავს მიხეილ ჯახუა.

პროექტის კოორდინატორმა თინათინ ასათიანმა “24 საათთან” საუბარში აღნიშნა, რომ პროცესი უწყვეტია და მისი თანმიმდევრულობა შენარჩუნებულია, მას ახალი მონაწილეები უერთდებიან, თუმცა წესები უცვლელი რჩება. მისი აზრით, რეალურად ჩნდება რესურსები, რომლებიც ფინანსებს, მოტივაციას და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს მოიცავს. “ჯერ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ დაღლილობა გვეგრძნო. რაც უფრო მეტი არაპოლიტიზებული ძალა შემოგვიერთდება, მით უფრო ვიმედოვნებთ მშვიდობის დამყარებას. მე სუროგატული პროცესების წინააღმდეგი ვარ, რადგან ისინი რესურსებს შთანთქავენ. ყურადღებით ვაკვირდებით ყველა რესურსს, რაც ჩვენს საქმიანობაში შემოდის. მათი სწორი მიმართულებით წარმართვაა საჭირო. თუ რესურსები საკმარისად დარეგულირებული არ იქნება, ამან შეიძლება პროცესს ზიანი მიაყენოს,” - მიიჩნევს თინათინ ასათიანი.

დათო გამისონია

კიშინოვი-თბილისი